დანართი 1

პროგრამის „სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“ საკონკურსო კომისიის დებულება და კონკურსის (შემდგომში კონკურსი) ჩატარების წესი

წინამდებარე დებულებით განისაზღვრება პროექტის - „სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“ საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) მუშაობისა და კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლის 1. კომისიის სხდომის უფლებამოსილება

1. კომისიის სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ისა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 2. კონკურსის მიმართულებები:

1. სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მემცენარეობა, სანერგე და სასათბურე მეურნეობა, მეთევზეობა, რძის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია).

2. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, (მზის პანელები, წვეთოვანი სარწყავი სისტემა, სასათბურე კონსტრუქცია, ხელოვნური განათება, ელექტრომწყემსი და სხვა).

3. აგროტურიზმის განვითარება - ტურისტული სერვისები, ტურიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მომსახურეობა (ინოვაციური იდეები, რომელიც ხელს შეუწყობს სენაკის მუნიციპალიტეტში აგრო და ეკოტურიზმის განვითარებას).

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების ეტაპები

კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად:

3.1. კონკურსის გამოცხადება;

3.2. საინფორმაციო შეხვედრა;

3.3. საკონკურსო იდეის -განაცხადის წარდგენა;

3.4. საკონკურსო იდეის -განაცხადის შეფასება;

3.5. ადგილზე ვიზიტი;

3.6. გასაუბრება;

3.7. გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება;

3.8. გამარჯვებული პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი;

3.9. დამატებითი მონიტორინგი.

4. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება, კონკურსის შერჩევა/შეფასების წესით მიღებული ქულათა ჯამით.

5. საბოლოო შეფასება დადგინდება კომისიის წევრების მიერ კონკურსანტისთვის დაწერილ ქულათა ჯამის, კონკურსის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობაზე გაყოფით. მინიმალური გამსვლელი ქულაა 3.

6. კონკურსის ჩატარების ეტაპების ვადებს, შეფასების დამატებით საკითხებს ოქმით, განსაზღვრავს სპეციალურად შექმნილი კომისია.

7. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ კომისია წინადადებას წარუდგენს სენაკის მუნიციპალიტეტის მერს.

8. ქალთა საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში, წევრთა თანხმობა ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის დასანიშნად, ჯგუფის წევრების მიერ დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად ან ხელმოწერილი კომისიის მდივნის თანდასწრებით.

მუხლი 4. წარმოდგენილი პროექტის კრიტერიუმები

პროგრამის კონკურსში „სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“ წარმოდგენილი პროექტის შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს:

ა) იდეის აღწერას;

ბ) პროექტის მიზანსა და ამოცანებს;

გ) პროექტის მოსალოდნელ შედეგებს.

დ) ბიუჯეტს.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სრულწლოვანი ფიზიკური პირი ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი, ახალგაზრდა ან ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი.

2. უპირატესობა ენიჭება:

- ახალი ბიზნესის წამოწყებას,
- ინოვაციურ პროექტს ,რომელიც ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას

- ახალგაზრდა (35 წლის ასაკის ჩათვლით) სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში შშმ პირი) ქალთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის (დედის) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე დედის (ოთხი ან მეტი შვილი 18 წლამდე) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,

3. გამარჯვების შემთხვევაში, აღნიშნული კატეგორიის პირმა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. საპროექტო განაცხადი რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ამ მუხლის პირველპუნქტში განსაზღვრულ მოთხოვნებს განაცხადი განუხილველი დარჩება.
5. კონკურსში მონაწილეობა ეზღუდებათ:
    - პირს, რომელსაც აქვს საბანკო დავალიანება, ყადაღა და რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში;
    - საჯარო მოხელეს.

მუხლი 6. დაფინანსება

პროექტი გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტის, არა უმეტეს 5 000 ლარით, დაფინანსებას.

- პროექტის მინიმალური ბიუჯეტი 1 000 ლარი.
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი 5 000 ლარი.

თანამონაწილერობა სავალდებულია თუ მოთხოვნილი თანხა ტოლია ან აღემატება 4 000 ლარს.

თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მოთხოვნილი თანხის 15 %.

–თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობა.

–შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) აქტივის შეძენა.

–პროგრამა განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 7. შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

1. შერჩევის ობიექტური და არადისკრიმინაციული პროცესის უზრუნველსაყოფად, საპროექტო წინადადებებს განიხილავს მერის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისია .

2. განხილვის პროცესში, შესაძლოა, კომისიამ განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს, სამი ან მეტი სამუშაო დღის ვადაში.

3. საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად, კომისია იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა;

ბ) პროექტის დამაჯერებელი და ფაქტებით გამყარებული დასაბუთება;

გ) პროექტის შედეგზე ორიენტირებული და შესრულებადი სამოქმედო გეგმის არსებობა;

დ) მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი;

ე) გენდერული ანალიზი, პროექტის აქტივობებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის და პროექტის შედეგებზე მათი წვდომის დასასაბუთებლად;

ვ) ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა;

ზ) პროექტის შედეგების მდგრადობა.

4. დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ერთი პროექტის შემოტანის უფლება აქვს კონკურსის ფარგლებში. მერია უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს.

5. განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.

მუხლი 8. განაცხადის წარდგენის პროცედურა

1. კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტები:

ა) პროექტის განაცხადი (ხელმოწერით დამოწმებული);

ბ) დეტალური და პუნქტების მიხედვით გაწერილი ბიუჯეტი;

2. კონკურსში წარმოდგენილი პროექტები მხოლოდ განმცხადებელი პირის ნამუშევარს უნდა ასახავდეს. პლაგიატის შედეგად კონკურსიდან პროექტს დაუყოვნებლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

3. მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას გადაულახავი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი, გარემოების არსებობისას, უარი თქვას პროგრამის დაფინანსებაზე.

4. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულებაში რჩება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას მერია მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.